1940/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. ივნისის 20 № 15 თბილისი

## შინაარსი

### სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

55. ოლვზჭერის კოლმეურნეობათა შრომისუნარიანი წევრებისათვის სამუშაო დღეების—შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის დაწესების შესახებ.
56. 1940—44 წლებში ციტრუსოვანი კულტურების განლაგების რაიონობრივი გეგმისა და ციტრუსოვანი ნარგავების მოვლის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.
57 საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის 1940—1942 წლების გეგმის შესახებ.

Грузинск SSR Mamlek. publ. biblioteka
№
Госуд. публ. библиотека Грузинск. ССР

საქ. სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

№ 15
ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

**55. თევზჭერის კოლმეურნეობათა შრომისუნარიანი წევრებისათვის სამუშაო დღეების—შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის დაწესების შესახებ.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წ. 16 მაისის დადგენილების შესაბამისად, „თვითეული იმ შრომის უნარიანი კოლმეურნისათვის წელიწადში სამუშაო დღეების სავალდებულო მინიმუმის დაწესების შესახებ, რომლებიც თევზჭერისა და თევზჭერის რეწვის დამხმარე სამუშაოზე მუშაობენ“ (სსრკ. დადგ. კრ. 1940 წ. № 15, მუხ. 370), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაწესდეს 1940 წლიდან საქართველოს თევზჭერის კოლმეურნეობებში სამუშაო დღეების სავალდებულო მინიმუმი თვითეული შრომისუნარიან კოლმეურნისათვის, რომლებიც თევზჭერისა და თევზჭერის რეწვის დამხმარე სამუშაოებზე მუშაობენ:

ა) საკავშირო მნიშვნელობის წყალსატევებში (საქართველოს სსრ შავი ზღვის სანაპირო)—100 სამუშაო დღე;

ბ) რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის წყალსატევებში—60 სამუშაო დღე.

2. თევზჭერის კოლმეურნეობათა იმ წევრების მიმართ, რომლებიც სოფლის მეურნეობის დამხმარე სამუშაოზე მუშაობენ, გამოყენებულ იქნას შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი, რაც დაწესებულია სათანადო რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრ თვითეულ შრომისუნარიან კოლმეურნისათვის.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. შეროზია.

1940 წ. ივნისის 1. № 995.
თბილისი.

მუხ. 56
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## 56. 1940—44 წლებში ციტრუსოვანი კულტურების განლაგების რაიონობრივი გეგმისა და ციტრუსოვანი ნარგავების მოვლის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ.

„საქართველოს სსრ-ში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1940 წ. 25 აპრილის დადგენილების (სსრკ. დადგ. კრ. 1940 წ. № 11 მუხ. 269), განსახორციელებლად, საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დამტკიცდეს განლაგება 1940—44 წლებში ციტრუსოვან კულტურათა ახალი გაშენების გეგმისა, რომელიც (გეგმა) დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 25 აპრილის დადგენილებით, რაიონების, კულტურებისა და გაშენების წლების მიხედვით თანახმად № 1 დანართისა.

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს სუბტროპიკული რაიონების საქ. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს და რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) 1 ოქტომბრამდე დაამთავრონ 1940—44 წლებში ციტრუსოვანი კულტურების გაშენების გეგმის დაყვანა კოლმეურნეობებამდე საბჭოთა მეურნეობებამდე, სასოფლო საბჭოებამდე და საკოლმეურნეო კომლებამდე, ისე რომ მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ციტრუსოვანი კულტურების გაშენებისათვის ვარგისი ყველა მიწები.

რაიონში ციტრუსოვანი კულტურებით გაშენების გეგმის განლაგებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ციტრუსოვანი კულტურების შემდგომი განვითარების შესაძლებლობა კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე და აგრეთვე ჩაის ფაბრიკების, სკოლების, საავადმყოფოების, სასოფლო საბჭოების კარმიდამოებზე და ა. შ.

ბ) მოაწყონ ციტრუსოვანი კულტურების გასაშენებლად ნიადაგის მომზადების სამუშაოები, იმ ანგარიშით, რომ ყველა ეს სამუშაო დამთავრებულ იქნას საგაზაფხულო გაშენებისათვის არაუგვიანეს გაშენების წლის 1 იანვრისა და საშემოდგომო გაშენებისათვის არაუგვიანეს იმავე წლის 1 ივლისისა, ამასთან ის ნიადაგები, რომლებიც ათვისებისათვის მოითხოვენ წინამორბედების სახით ერთწლიანი სათოხნი კულტურების წინასწარ დათესვას, მომზადებული უნდა იყოს არაუგვიანეს ერთი წლისა დარგვის ჩატარებამდე.

გ) ვაკე ადგილებზე ნიადაგის მომზადებისას ჩატარდეს ნიადაგის ღრმად მოხვნა არანაკლებ 25—30 სანტიმეტრისა და გაყვანილ იქნას სადრენაჟო ქსელი, ხოლო დატენიანებულ ნაკვეთებზე გარდა ამისა მოეწყოს ამაღლებული კვლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიადაგის ჩამორეცხვის თავიდან აცილების მიზნით ფერდობებზე აუცილებლად მოეწყოს ტერასები და ნახევარტერასები წყალსაგდები თხრილებით;

დ) ამოშრობის შედეგად მიღებულ და გაეწრებულ ნიადაგებზე, მათი ფიზიკური თვისების გასაუმჯობესებლად, აუცილებლად ჩატარდეს ერთი წლით ადრე ციტრუსოვანი კულტურების გაშენებამდე ერთწლიანი სათოხნი მცენარეებისა ან სიდერატების თესვა, ხოლო გადარეცხილ ნიადაგებზე—სიდერატების თესვა;

ე) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პლანტაციების სწორად დაგეგმვას და სწორ ფართობებზე ხეები განლაგდეს ისეთი წესით, რომ მაქსიმალურად, უზრუნველყოფილი იყოს ზედმეტი ტენის მოცილების შესაძლებლობა, ნიადაგის დამუშავების დროს მექანიზაციის გამოყენება და ქარებისაგან ხეების დაცვა.

ფერდობებზე დაგეგმვა სწარმოებდეს ზუსტად ჰორიზონტალების მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს შემდგომი ცალკეული ღრმულების შეერთება სწორ ტერასებად.

დაგეგმვის დროს დაცულ იქნას მანძილი მწკრივებსა და ხეებს შორის, ამასთან მაქსიმალურად გათვალისწინებულ იქნას მოცემული სახის მცენარეთა ზრდის თავისებურებანი და ნიადაგობრივი პირობები და უზრუნველყოფილ იქნას საუკეთესო პირობები ხეების განვითარებისა და ფართობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის;

ვ) არ იქნას დაშვებული რგვის ვადების დარღვევა და მტკიცედ იქნას დაცული მისი მაღალხარისხოვნად შესრულება, განსაკუთრებით ნერგების დარგვის სიღრმის მხრივ და იმ მხრივ, რომ სუსტ წყალჟონვად ნიადაგებში შეტანილი იყოს ორგანული სასუქებისა და სილის სათანადო დოზები.

ზ) უზრუნველყოფილ იქნას ყველა ახლადგაშენებული პლანტაციის განსაკუთრებული მოვლა, ამასთან დიდი ყურადღება მიექცეს ნიადაგისა და ღრმულების (ფერდობებზე) დროულ და გულმოდგინე დამუშავებას, ამასთან არ იქნას დაშვებული მწკრივთაშორის თამბაქოს, გერანის, სიმინდისა და ბრინჯის მოყვანა. გვალვის პერიოდში სწარმოებდეს მულჩირება ან რწყვა;

თ) ზამთარში, მიმდინარე წლის ნარგავთა დაცვის ღონისძიების სახით სავალდებულო წესით ყველა რაიონში და ყველა სახის პლანტაციებში ჩატარდეს მიწის შემოყრა მძიმე ნიადაგებზე სილის დამატებით, აგრეთვე ნოემბრის დამდეგისათვის მოზარდი კლორტების წაწყვეტა, რათა შეჩერებულ იქნას ზრდა. ჩატარდეს აგრეთვე ინდივიდუალური შეფუთვა.

**არსებული ნარგავების მოვლის დარგში.**

3. არსებული ნარგავების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის მაქსიმალურად გადიდების მიზნით, დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებს და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უზრუნველჰყონ ნიადაგის მოვლის აგროწესების ყველა მოთხოვნილების ზუსტად შესრულება, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ

ბიბლიოთეკა

აუცილებლად გატარდეს საზაფხულო მწკრივთა შორისული მთლიანი დამუშავება ვაკე ადგილებზე, გარდა ქვიშიანი ნიადაგებისა, სადაც ხდება ქარებისაგან მათი გამოქრევა და რომ აგრეთვე ჩატარდეს მულჩირება ნიადაგში ტენის შესანარჩუნებლად; 15 ივნისამდე დამთავრდეს მინერალური აზოტის მეორე დოზის შეტანა, ხოლო პირველ სექტემბრამდე საშემოდგომო სიდერატების თესვა;

ბ) წახდენისაგან ციტრუსოვანი კულტურების დაცვის მიზნით, ერთი თვის განმავლობაში შეამოწმონ არსებული ღობეების მდგომარეობა და დასახონ და გაატარონ თითოეული კოლმეურნეობისა და ნაკვეთის მიხედვით საჭირო ღონისძიებანი არსებული ღობეების შესაკეთებლად და ახალი ღობეების გასაკეთებლად. ეს მუშაობა დამთავრებულ იქნას არაუგვიანეს 1940 წ. ოქტომბრისა.

გ) არ იქნას დაშვებული არსებული სადრენაჟო ქსელის დანაგვიანება და ბალახმოდება, არაუგვიანეს პირველ ოქტომბრისა—დამთავრებულ იქნას დამატებითი ქსელის მოწყობა ზედაპირული წყლების ნორმალური ჩამოდინების უზრუნველსაყოფად. ფერდობებზე ციტრუსოვანი კულტურების პლანტაციათა ჩამორეცხვის თავიდან ასაცილებლად, ამავე ვადაში უზრუნველყოფილი იქნას წყალსაგდები თხრილების გაყვანა.

4. ციტრუსოვანი პლანტაციების, განსაკუთრებით ლიმონების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რომლებიც დაზიანდა 1939—1940 წ. წ. ზამთარში ყინვებისაგან, გატარებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი:

ა) 15 ივნისამდე დამთავრდეს ყველა დაზიანებული ტოტების შემოჭრა ჯანსაღ ნაწილამდე, ისე, რომ მთლიანად აღდგენილი იყოს ხის სწორი ფორმა და ზაფხულის განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნას წარმოქმნილი ყლორტების გულმოდგინე მოვლა, რათა ჩამოყალიბდეს სწორი კრონა. ავადმყოფობის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მოჭრილ ტოტებს წაესვას ბაღის მალამო (საქ. სსრ მიწსახკომის ინსტრუქციის თანახმად);

ბ) ყინვებისაგან დაზიანებულ ხეებზე სოკოვან ავადმყოფობათა გავრცელების საშიშროების გამო, ზაფხულის განმავლობაში ჩატარდეს ბორდოსის ხსნარის შესხურება ოთხჯერ;

გ) გამოზამთრებისათვის მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნას წარსულ ზამთარში დაზიანებული ხეების განსაკუთრებული მგრძნობიარობა ყინვებისადმი და თოვლისაგან მათი დამტვრევის შესაძლებლობა და მიღებულ იქნას განსაკუთრებული ზომები მათი დაცვისათვის, კერძოდ დაზიანებულ ლიმონისა და ფორთოხლის ხეებს აუცილებლად გაუკეთდეს ჩალის სახურავები, ხოლო ყინვების მხრივ უფრო მეტად საშიშ ადგილებში—ინდივიდუალური გათბობით უზრუნველყოფილი სახურავები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ივნისის 2. № 1024.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**57. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის კაპიტალური მშენებლობის 1940—1942 წლების გეგმის შესახებ.**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1940 წლის 25 აპრილს „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხობრივი მეღვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ. დადგ. კრ. 1940 წ. № 11, მუხ. 269), მიღებული დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის გადამუშავება წლების მიხედვით: 1941 წელს—60.800 ტონა 1942 წელს—70.743 ტონა, დამტკიცდეს ჩაის ფაბრიკების სიმძლავრეთა ამუშავების შემდეგი გეგმა:

| (ტონობით) | 1940 წ. | 1941 წ. | 1942 წ. |
|---|---|---|---|
| ზესალიმიტო ჩაის ფაბრიკებისათვის . . . . . . . . . . | 7.870 | 11.300 | 8.820 *) |
| აქედან: ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკისათვის . . . . . | 1.500 | 1.500 | — |
| ქვესალიმიტო ჩაის ფაბრიკებისათვის . . . . . . . . . | 1.697 | 1.100 | 480 |
| ს უ ლ . . . . . . . . | 9.567 | 12.400 | 9.300 |

**შენიშვნა.** აქედან 2.800 ტონა მარტვილის, ჯოლეჯიანისა და გუდაუთის ფაბრიკებისათვის.

2. დამტკიცდეს 1940, 1941 და 1942 წლებში მომქმედი ფაბრიკების გაფართოებისა და ახალი ფაბრიკების მშენებლობის შემდეგი გეგმა:

**1940 წელს.**

ა) დამთავრდეს პირველი რიგის მშენებლობა: ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკისა—1500 ტონის, მალლაკის ჩაის ფაბრიკისა 2.000 ტონის და ორპირის ფაბრიკისა—1000 ტონის სიმძლავრით;

ბ) გაფართოვდეს ქობულეთის ჩაის ფაბრიკა 2.000 ტონით და ამუშავდეს იგი 1941 წლის სეზონისათვის.

გ) დაწყებულ იქნას შემდეგი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა: აჩკვის ჩაის ფაბრიკისა 2000 ტონა სიმძლავრით, რომლის პირველი რიგი დამთავრდეს 1941 წელს.

კოდორის ჩაის ფაბრიკისა 4.000 ტონა სიმძლავრით, რომლის პირველი რიგი 2.000 ტონა სიმძლავრით ამუშავდეს 1941 წლის სეზონისათვის.

ლესიჭინეს ჩაის ფაბრიკისა 4.000 ტონა სიმძლავრით, რომლის პირველი რიგი 1.000 ტონის სიმძლავრით ამუშავდეს 1941 წელს.

ლაო-ჩას გადამმუშავებელი ექვსი პუნქტისა 6.000 ტონა საერთო სიმძლავრით, რაც ამუშავდეს 1941 წლის 1 მარტს.

**1941 წელს.**

ა) დამატებით იქნას მოწყობილი 1941 წლის სეზონისათვის შემდეგი ჩაის ფაბრიკები:

 მუხ. /37

ნარაზენის—1.000 ტონა სიმძლავრისა საბოლოო სიმძლავრემდე აყვანით.

ლაითურის—1.000 ტონა სიმძლავრისა საბოლოო სიმძლავრემდე აყვანით.

წალენჯიხის—მეორე ფაბრიკა საბოლოო სიმძლავრემდე (2.800 ტონა) აყვანით.

ბ) გაფართოვდეს შემდეგი მომქმედი ფაბრიკები:

მაღლაკის ფაბრიკა—4.000 ტონა საბოლოო სიმძლავრემდე, რომლის მეორე რიგი—2.000 ტონა სიმძლავრით დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1942 წლის სეზონისათვის, 1.000 ტონის მოწყობილობით.

აჩიგვარის ფაბრიკა—4.000 ტონა საბოლოო სიმძლავრემდე, რომლის მეორე რიგი—2.000 ტონის სიმძლავრით დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ იქნას გადაცემული 1942 წლის სეზონისათვის.

ნასაკირალის ფაბრიკა—4.000 ტონა საბოლოო სიმძლავრამდე, რომლის მეორე რიგი 2.000 ტონის სიმძლავრით დამთავრდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1942 წლის სეზონისათვის, 1.000 ტონის მოწყობილობით.

გ) დამთავრდეს ზუგდიდის ჩაის საწნეხი ფაბრიკა, რომლის მეორე რიგი—1.500 ტონის სიმძლავრისა ამუშავდეს.

დ) დაწყებულ იქნას ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა:

გუდაუთის ფაბრიკისა—2.000 ტონა საბოლოო სიმძლავრით, რომლის პირველი რიგი—1.000 ტონის სიმძლავრით საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1942 წლის სეზონისათვის.

განახლების ფაბრიკა—2.000 ტონა საბოლოო სიმძლავრით, რომლის პირველი რიგი—1.000 ტონის სიმძლავრით საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1942 წლის სეზონისათვის.

მარტვილის ფაბრიკა—4.000 ტონა საბოლოო სიმძლავრით, რომლის პირველი რიგი—1.000 ტონის სიმძლავრით საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1942 წლის სეზონისათვის.

ჯოლეჯიანის ფაბრიკა—4.000 ტონის საბოლოო სიმძლავრით, რომლის პირველი რიგი—2.000 ტონის სიმძლავრით საექსპლოატაციოდ გადაეცეს 1942 წლის სეზონისათვის 1.000 ტონა მოწყობილობით.

### 1942 წელს.

დაწყებულ იქნას შემდეგი ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ახალხიბულისა . . . . | 2.000 ტონა | საბოლოო | სიმძლავრით |
| წულუკიძისა II . . . . . | 2.000 | „ | „ |
| წალენჯიხისა ახალი . . . | 4.000 ტონა | „ | „ |

აყვანილ იქნას სრულ სიმძლავრემდე აჩკვის, კოდორისა და ლესიჭინეს ჩაის ფაბრიკები.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ტრესტ „საქართველოს ჩაის“ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმა 1940 წლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის 22.730 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან ზესალიმიტო ობიექტები—16.285 ათასი მანეთი და ქვესალიმიტო ობიექტები—6.445 ათასი მანეთი; 1941 წლისათვის—33.000 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან ზესალიმიტო ობიექტები—25.640 ათასი მანეთი და ქვესალიმიტო ობიექტები—7.360 ათასი მანეთი; 1942 წელს—33.000 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან ზესალიმიტო ობიექტები 26.000 ათასი მანეთი და ქვესალიმიტო ობიექტები—7.000 მანეთი.

აღნიშნული ხარჯების განაწილება მშენებლობის ობიექტების მიხედვით დამტკიცდეს თანახმად დანართისა № 1 და 2.

4. დამტკიცდეს ტრესტ „საქართველოს ჩაის“ საპროექტო—საძიებელ სამუშაოთა სატიტულო სია 1940 წლისათვის, თანახმად დანართისა № 3.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. წიკლაურს) პირველ სექტემბრისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ტრესტ „საქართველოს ჩაის“ 1943 წლის და 1944 წლის კაპიტალური ხარჯების გეგმა.

6. ჩაის მრეწველობაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობის მნიშვნელოვნად გადიდების გამო და გამოყოფილ სახსრების წარმატებით ათვისების მიზნით, წინადადება მიეცეს ტრესტ „საქართველოს ჩაის“ (ამხ. ნანეიშვილს) გაატაროს 1940 წელს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ააშენოს 4 აგურის ქარხანა კუსტარული ღუმელებით, რომელთაგან თითოეული წელიწადში გამოუშვებს 600 ათას ცალ აგურს;

ბ) გააფართოვოს და დამატებით მოაწყოს ზუგდიდისა და მახარაძის მექანიკური სახელოსნოები;

გ) გაშალოს სამშენებლო ქვის თვითდამზადება ახალი ჩაის ფაბრიკების მშენებლობის რაიონებში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე
ვ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი
კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ივნისი 11. № 1092.
თბილისი.

SSR Mamleket. Publ. Biblioteka
№
Публ. библиотека

დანართი

## 1940—1941—1942 წლების ჩაის ფაბრიკების ჩასალიმიტო სატიტულო სია

| ჩაის ფაბრიკების დასახელება | მშენებლობის დამთავრების წელი | მწვანე ჩაის ფოთლის სადღეღამისო სიმძლავრე ტონებში | სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ათას მან.) | სულ შესრულ. 1940 წ. 1/I-მდე | დაბანდება ათას მან. | | | მოქმედებაში შემავალ სიმძლავრეებით დატვირთვა ტონებში | | | ვისგან და როდის არის დამტკიცებული ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1940 წ. | 1941 წ. | 1942 წ. | 1940 წ. | 1941 წ. | 1942 წ. | |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 1. ორთა-ბათუმი<br>მ. შ. საბ. მშენებლობა | 1935<br>— | 1500<br>— | 6138<br>1823 | 2281<br>99 | 130<br>— | 100<br>— | 190<br>140 | —<br>— | 200<br>— | 200<br>— | საკ. მიწსახკომის ტექნ. პროექტი 19/IX—35 წ.<br>საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ხარჯთაღრ. 10/XI-37 წ. |
| 2. ჩხოროწყუს<br>მ. შ. საბ. მშენებლობა | 1935<br>1935 | 2000<br>— | 7006<br>1321 | 2875<br>340 | 400<br>176 | 550<br>140 | 300<br>140 | 500<br>— | —<br>— | 200<br>— | საკ. მიწსახკომის ტექნ. პრ. 13/VII და 19/IX—35.<br>საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ხარჯთაღრ. 10/IX-37 წ. |
| 3. ნაბაკევის<br>მ. შ. საბ. მშენებლობა | 1935<br>— | 1400<br>— | 7042<br>1346 | 2479<br>191 | 550<br>124 | 380<br>140 | 350<br>140 | 300<br>— | —<br>— | —<br>— | საკ. მიწსახკომის ტექნ. პროექტი 4/VIII—35 წ. |
| 4. მუქუს<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1935<br>— | 1400<br>— | 7176<br>1788 | 3021<br>350 | 85<br>— | 250<br>140 | 200<br>140 | 250<br>— | —<br>— | —<br>— | საკ. მიწსახკომის ტექნ. პროექტი 4/VIII—36 წ.<br>საქ. კვებ. მრეწვ. სახ. ხარჯთაღრ. 10/XI—37 წ. |
| 5. დიდი-ჭყონის II-ოე<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1935<br>— | 2000<br>— | 10246<br>1562 | 3520<br>415 | 450<br>205 | 500<br>140 | 320<br>140 | 300<br>— | 900<br>— | —<br>— | საკ. მიწსახკომის ტექნ. პროექტი 4/XI—35 წ |
| 6. ნარაზენის<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1936<br>— | 4000<br>— | 10031<br>1640 | 3917<br>374 | 1500<br>160 | 1180<br>280 | 600<br>280 | 1000<br>— | 1400<br>— | —<br>— | საკ. მიწსახკომის ტექნ. პროექტი 13/VII—35 წ.<br>საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ხარჯთაღრ. 10/XI-37 წ. |
| 7. ნასაკირალის<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1933<br>— | 4000<br>— | 9805<br>2260 | 4014<br>496 | 300<br>— | 970<br>140 | 980<br>140 | 530<br>— | —<br>— | 400<br>— | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პრ. 10/XI—37 წ.<br>საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ხარჯთაღრ. 26/II-36 წ. |
| 8. ლაითურის<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1934<br>— | 4000<br>— | 10160<br>1908 | 4512<br>392 | 1030<br>254 | 1140<br>280 | 610<br>280 | 680<br>— | 1200<br>— | —<br>— | საკ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პრ. 26/I—36 წ.<br>საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ხარჯთაღრ. 10/XI-37 წ. |
| 9. ქობულეთის<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1934<br>— | 4000<br>— | 10055<br>1594 | 4524<br>507 | 415<br>— | 1100<br>— | 510<br>— | —<br>— | 665<br>— | —<br>— | " " "<br>" " " |
| 10. აჩიგვარის<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1933<br>— | 4000<br>— | 10104<br>1827 | 3908<br>580 | 830<br>135 | 1090<br>140 | 810<br>140 | 750<br>— | —<br>— | 1100<br>— | " " "<br>" " " |
| 11. სუფსის<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1934<br>— | 1400<br>— | 3880<br>— | 2256<br>107 | 200<br>190 | 340<br>140 | 320<br>140 | —<br>— | 140<br>— | 100<br>— | საკ. მიწსახკომის ტექნ. პროექტი 13/VII—35 წ.<br>ეკონომიური საბჭოს 27/IV—38 წ. № ЭС-203-3. |
| 12. შამათის<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1934<br>— | 1400<br>— | 4060<br>— | 2?25<br>123 | 200<br>100 | 300<br>140 | 320<br>140 | —<br>— | 265<br>— | 100<br>— | " " "<br>" " " |
| 13. ჩაქვის I-ლი<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1929<br>— | 3000<br>— | 9746<br>3475 | 4609<br>397 | 140<br>— | 70<br>— | 170<br>— | 300<br>— | —<br>— | —<br>— | საკ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პრ. 25/I—36 წ.<br>საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომისარ. 10/XI—37 წ. |
| 14. ჩოხატაურის<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1932<br>— | 1300<br>— | 5019<br>1735 | 2440<br>455 | —<br>— | 280<br>140 | 250<br>140 | —<br>— | —<br>— | —<br>— | " " "<br>" " " |
| 15. წალენჯიხის მე-II-ე<br>მ. შ. საბ. მშენებლ. | 1926<br>— | 2800<br>— | 10425<br>2364 | 3807<br>216 | 400<br>140 | 520<br>140 | 300<br>140 | 300<br>— | 660<br>— | 400<br>— | " " "<br>" " " |

## 1940—1941—1942 წლების ჩაის ფაბრიკების ზესალიმიტო სატიტულო სია

| ჩაის ფაბრიკების დასახელება | მშენებლობის დაწყების წელი | მწვანე ჩაის ფოთლის საპროექტო სიმძლავრე ტონებში | სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ათას მან.) | სამშ. შესრულება 1940 წ. 1/I-მდე | დაბანდება (ათას მან.) 1940 წ. | 1941 წ. | 1942 წ. | მოქმედებაში შემავალ სიმძლავრით დატვირთვა ტონებში 1940 წ. | 1941 წ. | 1942 წ. | ვისგან და როდის არის დამტკიცებული ტექნიკური პროექტი და ხარჯთაღრიცხვა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 16. ლანჩხუთის | 1936 | 1400 | 6877 | 2406 | 140 | 300 | 300 | — | 145 | 100 | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პრ. 25/I—36 წ. |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 1688 | 91 | — | 140 | 140 | — | — | — | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. 10/XI—1937 წ. |
| 17. ჩალე-პაპულის | 1937 | 500 | 7491 | 828 | 100 | 80 | 340 | — | — | — | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პრ. 31/V—37 წ. |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | — | — | — | — | 140 | — | — | — | |
| 18. თბილისის ჩაის საწონი ფაბრ. | 1936 | 5000 | 9362 | 2606 | 1100 | 1800 | 1500 | — | — | — | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პროექტი |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 622 | 324 | 200 | 400 | 400 | — | — | — | და ხარჯთაღრიცხვა 29/XI—36 წ. № 2968. |
| 19. „საქ. ჩაის ტრესტის საზღო" | 1936 | — | 5214 | 2144 | 500 | 1500 | 1000 | — | — | — | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პროექტი |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | და ხარჯთაღრიცხვა 28/XII—36 წ. |
| 20. ორპირის ჩაის ფაბრიკა | 1938 | 2000 | 9187 | 360 | 1200 | 420 | 270 | 620 | 235 | 120 | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. 2/VI—39 წ. |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 3165 | 75 | — | 140 | 140 | — | — | — | |
| 21. ზოლუკის | 1938 | 4000 | 16839 | 509 | 1850 | 1440 | 1480 | 840 | 1000 | 1200 | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პროექტი |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 6950 | — | 125 | 280 | 280 | — | — | — | და ხარჯთალო. 28/I—1940 წ. |
| 22. აჭყვინის | 1940 | 2000 | 10000 | — | 400 | 1200 | 1540 | — | 500 | 500 | იმყოფება დამუშავებაში |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 3200 | — | — | 140 | 280 | — | — | — | |
| 23. განახლების | 1941 | 2000 | 10000 | — | 45 | 1000 | 950 | — | — | 500 | 〃 〃 〃 |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 3200 | — | — | 140 | 140 | — | — | — | |
| 24. მარტვილის | 1941 | 4000 | 17000 | — | 150 | 1700 | 1300 | — | — | 1225 | 〃 〃 〃 |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 7000 | — | — | 140 | 140 | — | — | — | 〃 〃 〃 |
| 25. ლესიჭინის | 1940 | 4000 | 17000 | — | 800 | 1940 | 1500 | — | 800 | 800 | 〃 〃 〃 |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 7000 | — | 125 | 140 | 280 | — | — | — | 〃 〃 〃 |
| 26. ჯოლოჯიანის | 1941 | 4000 | 17000 | — | 115 | 1400 | 950 | — | — | 975 | 〃 〃 〃 |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 7000 | — | — | 140 | 140 | — | — | — | |
| 27. კოდორის | 1940 | 4000 | 19000 | 10 | 1200 | 1700 | 1590 | — | 1600 | 300 | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პრ. 26/IV-1940 წ. |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 700 | — | 125 | 140 | 280 | — | — | — | |
| 28. აბალ-ხიბულის | 1942 | 2000 | 10000 | 90 | — | — | 1700 | — | — | — | იმყოფება დამუშავებაში |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 3200 | — | — | — | 140 | — | — | — | |
| 29. გუდაუთის | 1941 | 2000 | 10000 | — | 80 | 1250 | 900 | — | — | 600 | 〃 〃 〃 |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 3200 | — | — | — | 140 | — | — | — | |
| 30. წულუკიძის II-რე | 1942 | 4000 | 17000 | — | — | — | 1640 | — | — | — | 〃 〃 〃 |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 7000 | — | — | — | 140 | — | — | — | 〃 〃 〃 |
| 31. წალენჯიხის I-ლი | 1942 | 2000 | 10000 | — | — | — | 1500 | — | — | — | 〃 〃 〃 |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | 3200 | — | — | — | 140 | — | — | — | 〃 〃 〃 |
| 32. ზუგდიდის ჩაის საპრესი | 1939 | 4500 | 8885 | 121 | 2475 | 1140 | 1110 | 1500 | 1500 | — | საქ. კვებ. მრეწვ. სახ. კომ. ტექნ. პრ. და ხარჯთაღ. |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | — | — | — | 280 | 400 | — | — | — | 19/XII—1939 წ. და 28/I—40 წ. |
| სულ ზესალიმიტო | — | 76100 | 321998 | 60012 | 16285 | 25640 | 26000 | 7870 | 11300 | 8820 | |

შენიშვნა. 1941 და 1942 წ. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ახალ მშენებლობებზე აღებულია საორიენტაციოდ.

დანართი № 2.

## 1940—41—42 წ. ჩაის ფაბრიკების ზესალიმიტო სატიტულო სია

| ჩაის ფაბრიკების დასახელება | დაბანდება ათას მან. | | | სიმძლავრეთა მოქმედებაში შეყვანა ჩაის მწვანე ფოთლის დატვირთვით ტონობით | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1940 წ. | 1941 წ. | 1942 წ. | 1940 წ. | 1941 წ. | 1942 წ. |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 1. სალიბაურის | 77 | 90 | 280 | 47 | — | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | — | 140 | — | — | — |
| 2. ბობოყვათის | 235 | 300 | 200 | 434 | — | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | 140 | 140 | — | — | — |
| 3. ხუცუბანის | 70 | 100 | 200 | — | 40 | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | — | 140 | — | — | — |
| 4. ნატანების | 75 | 100 | 200 | 49 | — | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | — | 140 | — | — | — |
| 5. შრომის | 155 | 100 | 100 | 39 | 29 | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | 50 | — | — | — | — | — |
| 6. მახარაძის | 255 | 840 | 680 | — | 620 | 380 |
| მ. შ. საბ. მშენ. | 110 | 280 | 280 | — | — | — |
| 7. მაღალი უწერის | 195 | 200 | 250 | 27 | — | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | — | 140 | — | — | — |
| 8. აცანის | 29 | 130 | 270 | 73 | 132 | 100 |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | — | 140 | — | — | — |
| 9. ნიგვზიანის | 68 | 100 | 100 | 104 | — | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | — | — | — | — | — |
| 10. წულუკიძის | 320 | 250 | 250 | 114 | 45 | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | 140 | 140 | — | — | — |
| 11. ჯუმათის | 179 | 420 | 350 | 243 | 128 | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | 140 | 140 | — | — | — |
| 12. დიდი-ჭყონის 1-ლი | 164 | 240 | 240 | 166 | 100 | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | 80 | 140 | 140 | — | — | — |
| 13. ზუგდიდის | 102 | 440 | 400 | 106 | — | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | — | 280 | 280 | — | — | — |
| 14. გალის | 186 | 100 | 240 | 197 | — | — |
| მ. შ. საბ. მშენ. | 116 | — | 140 | — | — | — |
| 15. ჩაქვის ჩაის საპროცესი | 240 | 300 | 250 | — | — | — |
| მ. შ. საბ. მშენებლ. | — | — | — | — | — | — |
| 16. ახალი ხიბულის | 10 | 50 | 250 | 98 | — | — |
| 17. მექ. სახელ. ზუგდიდში | 40 | 150 | 150 | — | — | — |
| 18 მექ. სახელ. მახარაძეში | 120 | 150 | 200 | — | — | — |
| 19. მომავალი წლების მოწყობილ. | 400 | 500 | 600 | — | — | — |
| 20. მომ. წლის საპროექტო სა-ხარჯთაღრიცხვო სამუშაო | 80 | 600 | 800 | — | — | — |
| 21. დამხმარე საწარმო | 445 | 300 | 250 | — | — | — |
| მათ შორის: აგურის ქარხანა | 215 | — | — | — | — | — |
| თბო-ტექნიკური და ელექტრიკური | 230 | — | — | — | — | — |
| ტექბაზა | — | 300 | 100 | — | — | — |
| 22. ლით-ჩის გადამმუშავ პუნქტ. | 3000 | 1600 | 840 | — | — | — |
| მათ შორის: მახარაძე | 480 | 276 | 140 | — | — | — |
| ლანჩხუთი | 480 | 268 | 140 | — | — | — |
| ზუგდიდი | 480 | 210 | 140 | — | — | — |
| აბიგვარი | 570 | 298 | 140 | — | — | — |
| დიდიჭყონი | 500 | 235 | 140 | — | — | — |
| ჩაქვა | 490 | 313 | 140 | — | — | — |
| სულ ზესალიმიტო | 6445 | 7360 | 7000 | 1697 | 1100 | 480 |
| მათ შორის: საბინაო მშენებლ. | 356 | 1120 | 2800 | — | — | — |
| სულ ტრესტ „საქ. ჩაის" ხაზით | 22730 | 33000 | 33000 | 9567 | 12400 | 9300 |
| მათ შორის საბინაო მშენ-ბა | 2515 | 5200 | 8220 | — | — | — |

[illegible]

[illegible]

[illegible]

ფასი 40 კაპ.

ტ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.
Полиграфкомбинат „Комунисти", имени Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.

УЭ 625 შეკვ. (Заказ) № 947 ტირაჟი (Тираж) 2000

21812